Centre for Participation and Collaboration

გენდერული თანასწორობა, პრინციპები, მნიშვნელობა და უზრუნველყოფის მექანიზმები

ტრენინგის სილაბუსი

კურსი მოიცავს: 6 ძირითად თემას და შემაჯამებელი დავალების მომზადებას;

ტრენინგის ხანგრძლივობა: 14 საათი;

ტრენინგის დასწრებას წინაპირობა არ გააჩნია;

აღწერა: ტრენინგი ეხება გენდერული თანასწორობის საკითხებს, მის თეორიულ საფუძვლებს, პრაქტიკაში განხორციელების მნიშვნელობასა და თანასწორობის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

ტრენინგის მიზნები

1. ტრენინგის მონაწილეებს გააცნოს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები, გენდერული თანასაწორობის მნიშვნელობა და საჭიროება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროსა და დონეზე;
2. გაეცნონ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საერთაშორისო და ეროვნულ მექანიზმებს, ამ საკითხთან დაკავშირებით არსებულ საერთაშორისო და ადგილობრივ გამოცდილებას;
3. ტრენინგის მონაწილეებს თეორიული ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად ასწავლოს გენდერული ანალიზის ინსტრუმენტების გამოყენება;
4. ხელი შეუწყონ დემოკრატიული, ტოლერანტული, არაძალადობრივი და მრავალფეროვანი გარემოს და საზოგადოების ფორმირების პროცესს.

ტრენინგის გეგმა

თემა 1

გენდერის ძირითადი ცნებები, როლები, კულტურა და სტერეოტიპები;

- გენდერის და სქესის განსაზღვრა
- გენდერული როლები
- გენდერული იდენტიფიკაციისა და სოციალიზაციის პროცესი
- გენდერი და კულტურა

ტრენინგის მეთოდოლოგია: პრეზენტაცია, დისკუსია, სავარჯიშო.

ტრენინგის ხანგრძლივობა: 2 საათი.

თემა 2

გენდერული თანასწორობა და პოლიტიკა;

- გენდერული კონცეფციის შექმნის ისტორია და წინაპირობები
- გენდერული თანასწორობის ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტები
- დისკრიმინაციის აკრძალვა ევროპული კონვენციის მიხედვით და ევროსასამართლოს გადაწყვეტილები

ტრენინგის მეთოდოლოგია: პრეზენტაცია, დისკუსია.

ტრენინგის ხანგრძლივობა: 2 საათი.

თემა 3

გენდერული თანასწორობის პოლიტიკა და ეროვნული დოკუმენტები საქართველოში;

- საქართველოში არსებული მდგომარეობა, მოკლე ისტორია
- გენდერული თანასწორობის ეროვნული კანონმდებლობა
- გენდერული სტატისტიკა: პოლიტიკა, განათლება, დასაქმება, სამოქალაქო საზოგადოება

ტრენინგის მეთოდილოგია: პრეზენტაცია, სავარჯიშო მცირე ჯგუფებში, დისკუსია.

ტრენინგის ხანგრძლივობა: 2 საათი.

თემა 4

გენდერული მეინსტრიმინგი;

- შესაბამისი ცნებები
- გენდერული ანალიზი, გენდერული ანალიზის მეთოდები
- პრობლემის განსაზღვრა, დაგეგმცა, მონიტორინგი, ბიუჯეტი და განხორციელება

ტრენინგის მეთოდოლოგია: პრეზენტაცია, სავარჯიშო მცირე ჯგუფებში, დისკუსია.

ტრენინგის ხანგრძლივობა: 2 საათი.

თემა 5

გენდერი და კომუნიკაცია;

- გენდერული სტერეოტიპები მედიაში
- გენდერული საკითხების გაშუქება
- სექსიზმი ჟურნალისტიკაში

ტრენინგის მეთოდოლოგია: პრეზენტაცია, სავარჯიშო მცირე ჯგუფებში, დისკუსია.

ტრენინგის ხანგრძლივობა: 2 საათი.

თემა 6

გენდერი და ძალადობა;

- ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა;
- სტამბულის კონვენცია და მისი მნიშვნელობა;

ტრენინგის მეთოდოლოგია: პრეზენტაცია, დისკუსია.

ტრენინგის ხანგრლივობა: 2 საათი.

თემა 7

გენდერული პარამეტრების გათვალისწინება პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში;

თითოეულ მონაწილეს ევალება მოკლე ესეს (2 გვერდი) მომზადება, რომელიც გენდერული პარამეტრების გათვალისწინებას შეეხება.

სწავლების მეთოდოლოგია: პრეზენტაცია, დისკუსია, შეფასება

ტრენინგის ხანგრძლივობა: 2 საათი

ლიტერატურა:

1. ვინერჰოლმ კ., აბაშიძე თ., ჟვანია ი., გენდერული პოლიტიკა;
2. სუმბაძე ნ., გენდერი და საზოგადოება;
3. გენდერული თანასწორობა საქართველოში - ბარიერები და რეკომენდაციები;
4. ხომერიკი ლ., გენდერი და პოლიტიკა;
5. გაფრინდაშვილი ლ. გენდერი, კულტურა და თანამედროევეობა;
6. ლ.მკერვალიშვილი, რა არის გენდერი. ლექციის პრეზენტაცია.